უზენაესი სასამართლოს მოდელები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

2

მართლმსაჯულება

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

უზენაესი სასამართლოს მოდელები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

თბილისი
2021

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იყო გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID-ის ან აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

კვლევის ხელმძღვანელი: ვახუშტი მენაბდე

კვლევის ავტორი: თამარ ხუხია

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2021, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

1. შესავალი 4

2. კვლევის მეთოდოლოგია 4

3. შერჩეულ სახელმწიფოთა უზენაესი სასამართლოების მოდელები 6

3.1. ლატვია 6

3.2. უნგრეთი 8

3.3. სლოვაკეთი 9

3.4. სლოვენია 10

3.5. რუმინეთი 12

4. შეჯამება 13

1. შესავალი

2018 წლის 16 დეკემბერს საქართველოს კონსტიტუცია ახალი რედაქციით ამოქმედდა. ცვლილებები შეეხო სასამართლო სისტემასაც. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა მინიმუმ 28-ით განისაზღვრა;[1] ნაცვლად პრეზიდენტისა, მათ დასამტკიცებლად იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარადგენს;[2] ბოლო ინსტანციის მოსამართლეებს უვადოდ, ხოლო მათგან თავმჯდომარეს 10 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.[3] მოდელის ავკარგიანობაზე საუბრისთვის სასარგებლოა მსგავსი სასამართლო სისტემის მქონე ევროკავშირის წევრი ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა.

2. კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებულია კვლევის დოქტრინალური მეთოდი, რაც გულისხმობს კანონმდებლობისა და სხვა პირველადი თუ მეორადი წყაროების ანალიზს. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეყრდნობა შედარებითსამართლებრივ მეთოდს.

კვლევა შემდეგ ქვეყნებს მიმოიხილავს: **ლატვია, უნგრეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და რუმინეთი.** ისინი რამდენიმე კრიტერიუმით შეირჩნენ: 1) ტერიტორიული მოწყობის ფორმა, საქართველოს მსგავსად, უნიტარული აქვთ (რაც გამორიცხავს ფედერალური სუბიექტების დონეზე უმაღლესი სასამართლოს არსებობას); 2) საერთო სასამართლოებს არ გააჩნიათ კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია და არსებობს დამოუკიდებელი ორგანო კონსტიტუციური ზედამხედველობისთვის; 3) საერთო სასამართლოები ერთიან სისტემაშია მოქცეული; 4) არსებობს იუსტიციის საბჭოს მსგავსი ორგანო, რომელიც საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით არის შექმნილი.

ლატვიაში საერთო სასამართლოების ერთიანი სისტემის სათავეში უზენაესი სასამართლოა.[4] პირველი და მეორე ინსტანცია რაიონული (საქალაქო) და საოლქო სასამართლოებია.[5] ქვეყანაში ფუნქციონი-

[1] საქართველოს კონსტიტუცია, 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[2] იქვე.
[3] იქვე, მე-3 პუნქტი.
[4] The Constitution of the Republic of Latvia, section 82.
[5] იქვე.

რებს იუსტიციის საბჭო,[6] რომელიც კოლეგიური ორგანოა. ის მონაწილეობს სასამართლო სისტემის პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავებასა და გაუმჯობესებაში, უზრუნველყოფს მის ორგანიზებულ მუშაობას.[7]

უნგრეთში საერთო სასამართლოებში ოთხსაფეხურიანი იერარქიაა: რაიონული სასამართლოები, რეგიონული სასამართლოები, რეგიონული სააპელაციო სასამართლოები და კურია.[8] სისტემაში მნიშვნელოვან, როლს **თამაშობენ თვითმმართველობის ორგანოები - მართლმსაჯულების ეროვნული ოფისი (National Office for the Judiciary - NOJ) და სასამართლოს ეროვნული საბჭო** (National Judicial Council-NJC).[9] ისინი მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირებაში მონაწილეობენ.[10]

სლოვაკეთის საერთო სასამართლოებში სამი ინსტანცია მოქმედებს: საოლქო, რეგიონული და უზენაესი სასამართლო.[11] ამ სისტემის ნაწილია **სასამართლო საბჭო,** რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს წარუდგენს მოსამართლეობის კანდიდატებს და ასრულებს სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს.[12]

სლოვენიაში ზოგადი იურისდიქციის სასამართლოებს (საერთო სასამართლოები) განეკუთვნება ადგილობრივი, საოლქო,[13] უმაღლესი სასამართლოები[14] და უზენაესი სასამართლო, როგორც ბოლო ინსტანცია.[15]

სასამართლო საბჭო არის სახელმწიფო ორგანო. კონსტიტუციის

---

[6] On Judicial Power, Section 89[1].

[7] იქვე.

[8] Judicial system, court of Hungary, court of Hungary-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://birosag.hu/en/judicial-system, განახლებულია 22.04.2021.

[9] Judicial system, National Office for the Judiciary, court of Hungary-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://birosag.hu/en/national-office-judiciary, განახლებულია: 22.04.2021.

[10] იქვე.

[11] The Slovak Political and Legal System in a nutshell, Legal Research in Slovakia, Globalex-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ni9l6y, განახლებულია: 22.04.2021.

[12] Judicial Council of the Slovak Republic, judicial council-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.sudnarada.gov.sk/powers/ ,powers, განახლებულია: 22.04.2021.

[13] ადგილობრივი და საოლქო სასამართლოები პირველი ინსტანციის სასამართლოებია.

[14] Slovenian Legal System, MRVA law firm-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.mrva.si/en/Courts.html, განახლებულია: 22.04.2021.

[15] Constitution of the Republic of Slovenia, article 127.

მიხედვით, ის არცერთ სხვა სახელმწიფო ორგანოს არ ექვემდებარება[16] და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში.

რუმინეთში საერთო სასამართლოები შედგება სამხედრო ტრიბუნალების, სპეციალიზებული ტრიბუნალების, საოლქო (რომლებიც განეკუთვნებიან პირველ ინსტანციას) და სააპელაციო სასამართლოებისგან.[17] ბოლო ინსტანციაა **მართლმსაჯულებისა და კასაციის უმაღლესი სასამართლო.**[18] მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის გარანტი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოა.[19]

3. შერჩეულ სახელმწიფოთა უზენაესი სასამართლოების მოდელები

3.1. ლატვია

დაკომპლექტება: ლატვიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს სეიმს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომიტეტის[20] რეკომენდაციებს.[21] საკანონმდებლო ორგანო მოსამართლეებს ირჩევს უვადოდ, დამსწრეთა უმრავლესობით.[22]

სტრუქტურა: უზენაესი სასამართლოს უმაღლესი ორგანოა სენატი,

---

[16] judicial council, GOV.SI-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.gov.si/en/state-authorities/other-institutions/judicial-council/, განახლებულია: 22.04.2021.

[17] Judicial systems in Member States – Romania, E- JUCTICE-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://e-justice.europa.eu/content_judicial_systems_in_member_states-16-ro-en.do?member=1, განახლებულია: 22.04.2021.

[18] Constitution of Romania, article 126.

[19] იქვე, article 133.

[20] მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კომიტეტი არის სასამართლო სისტემის თვითმმართველობის ორგანო, რომელიც მოსამართლეთა პროფესიულ საქმიანობას აფასებს. იხ. Supreme Court, Senate, Judicial self-government institutions, Judicial Qualification Committee, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://at.gov.lv/en/tieslietu-padome/tiesnesu-pasparvaldes-institucijas/tiesnesu-kvalifikacijas-kolegija, განახლებულია: 28.04.2021.

[21] Appointing of Supreme Court Judges Examination of Situation in Individual Countries, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/sites/default/files/Report_Hirsch_eng%5B1%5D.pdf, განახლებულია: 28.04.2021.

[22] Constitution of Latvia, section 2, article 24.

რომელშიც ინსტანციის ყველა მოსამართლე შედის. მის შემადგენლობაშია სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა დეპარტამენტები.[23] უზენაესი სასამართლოს სისტემაშია სადისციპლინო სასამართლოც,[24] რომელიც შედგება ხუთი წლის ვადით არჩეული ექვსი წევრისგან.[25] სადისციპლინო სასამართლო უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლეებით კომპლექტდება.[26]

შემადგენლობა: 2017 წლიდან მოსამართლეთა რაოდენობა 36-ს შეადგენს.[27] მათ რიცხვს განსაზღვრავს სეიმი იუსტიციის საბჭოს რეკომენდაციით, ხოლო თითოეულ დეპარტამენტში შემავალ მოსამართლეთა რაოდენობას - იუსტიციის საბჭო.[28] ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით, სამოქალაქო საქმეთა დეპარტამენტში უნდა იყოს 17 სენატორი, სისხლის სამართლის საქმეთა დეპარტამენტში - 8, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტში - 10.[29]

თავმჯდომარის კანდიდატურას უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომა თავისი შემადგენლობიდან სთავაზობს სეიმს.[30] ის აირჩევა ხუთი წლის ვადით.[31] ერთი და იგივე პირი ამ თანამდებობაზე შეიძლება განწესდეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.[32] **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე** წარმართავს უზენაესი სასამართლოს საქმიანობას.[33]

---

[23] Supreme Court Senate, structure, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.at.gov.lv/en/par-augstako-tiesu/struktura, განახლებულია: 28.04.2021.

[24] The supreme court of The republic of Latvia the senate, disciplinary court, გვ. 14, ხელმისაწვდომია: http://www.at.gov.lv/files/uploads/files/2_Par_Augstako_tiesu/Informativie_materiali/SENATS2020_web_ENG.pdf, განახლებულია: 28.04.2021.

[25] იქვე.

[26] იქვე.

[27] Supreme Court Senate, about supreme court, senators, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.at.gov.lv/en/par-augstako-tiesu/senatori, განახლებულია: 28.04.2021.

[28] იქვე.

[29] იქვე.

[30] Authority of the Chief Justice, Chief Justice About Supreme Court, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.at.gov.lv/en/par-augstako-tiesu/priekssedetajs/priekssedetaja-kompetence, განახლებულია: 28.04.2021.

[31] იქვე.

[32] იქვე.

[33] იქვე.

იუსტიციის საბჭო: საბჭოს შემადგენლობაში სულ 15 წევრია.[34] მასში შედიან: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი, ადვოკატთა საბჭოს თავმჯდომარე, ნოტარიუსთა საბჭოს თავმჯდომარე, აღმასრულებელთა საბჭოს თავმჯდომარე; უზენაესი სასამართლოს მიერ არჩეული მოსამართლე და ექვსი მოსამართლე, რომლებიც მოსამართლეთა კონფერენციაზე აირჩევიან.[35]

3.2. უნგრეთი

დაკომპლექტება: კურიის[36] მოსამართლეებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.[37] მას კანდიდატურებს წარუდგენს მართლმსაჯულების ეროვნული ოფისის პრეზიდენტი.[38] კრიტერიუმებს კი, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი კანდიდატურებს არჩევს, სასამართლოს ეროვნული ოფისი ადგენს.[39] მოსამართლეები თანამდებობაზე განწესდებიან უვადოდ.[40]

სტრუქტურა: კურია შედგება სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ-შრომითი სამართლის დეპარტამენტებისგან.[41] თითოეულში შედის რამდენიმე პალატა: სააპელაციო საქმეების განმხილველი (chambers hearing appellate cases), ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების გამომტანი (chambers passing uniformity decisions) და სამართლის პრინციპებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიმღები (chambers issuing decisions on principles).[42]

შემადგენლობა: კურიაში მსახურობს სულ 83 მოსამართლე.[43] ადმინისტრაციული და შრომის დეპარტამენტი მოიცავს 8 სასამართლო

---

[34] On Judicial Power, Law of the Republic of Latvia, section 89.1.
[35] იქვე.
[36] უნგრეთის უზენაესი სასამართლო.
[37] The Fundamental Law of Hungary, article 26, paragraph 2.
[38] იქვე.
[39] იქვე.
[40] იქვე.
[41] Courts of Hungary, curia of Hungary, Courts of Hungary-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://birosag.hu/en/curia-hungary, განახლებულია: 27.04.2021.
[42] იქვე.
[43] Network of the presidents of the supreme judicial courts of the European union, Hungary, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/page/hungary, განახლებულია: 28.04 2021.

კოლეგიას, სამოქალაქო დეპარტამენტი - 7-ს, ხოლო სისხლის სამართლის დეპარტამენტი - 3-ს.[44] საქმეს განიხილავს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია. თუ ეს გამართლებულია საქმის საგანგებო სირთულით ან განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობით, საქმე, შესაძლებელია, განიხილოს ხუთმა მოსამართლემ.[45]

კურიას პრეზიდენტს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით მოსამართლეთაგან ირჩევს ეროვნული ასამბლეა (საკანონმდებლო ორგანო) ცხრა წლის ვადით,[46] ასამბლეის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით.[47]

2012 წელს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საერთო სასამართლოების მართვის პროცესში ორი ორგანო ჩაერთო: **მართლმსაჯულების ეროვნული ოფისი** (National Office for the Judiciary - NOJ),[48] რომელსაც სასამართლო სისტემის ადმინისტრირება ევალება და **ეროვნული სასამართლო საბჭო** (National Judicial Council - NJC), რომელიც მართლმსაჯულების ეროვნული ოფისის მაკონტროლებელია.[49]

3.3. სლოვაკეთი

დაკომპლექტება: მოსამართლეებს (განუსაზღვრელი ვადით[50]) ნიშნავს და ათავისუფლებს რესპუბლიკის პრეზიდენტი სასამართლო საბჭოს წინადადებით.[51]

სტრუქტურა: უზენაესი სასამართლო თავის იურისდიქციას ახორციელებს განყოფილებებისა და დანაყოფების მეშვეობით.[52] არსებობს

---

[44] იქვე.
[45] Act CXXX of 2016 on the Code of Civil Procedure, article 4, para 5.
[46] იქვე, para 3.
[47] იქვე.
[48] Courts of Hungary, National Office for the Judiciary, Courts of Hungary-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://birosag.hu/en/national-office-judiciary, განახლებულია: 17.04.2021.
[49] იქვე.
[50] Network of the presidents of the supreme judicial courts of the European union, Slovakia, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/page/slovakia-0, განახლებულია: 26.04.2021.
[51] იქვე.
[52] Legal Research in Slovakia (Including a Brief Description of Slovak Political and Legal system), hauser global law school program, Globalex-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.nyulawglobal.org/globalex/Slovakia.html#theslovakpoliticalandlegalsystem, განახლებულია: 25.04.2021.

4 განყოფილება: სისხლის, სამოქალაქო, კომერციული და ადმინისტრაციული სამართლის.[53]

შემადგენლობა: უზენაეს სასამართლოში სულ 90 მოსამართლეა, ამათგან: სისხლის სამართლის სამმართველოში - 19; სამოქალაქო სამმართველოში - 29; კომერციულ განყოფილებაში - 14; ადმინისტრაციულ განყოფილებაში - 28.[54]

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რიგებიდან, ხუთი წლის ვადით, სასამართლო საბჭოს წინადადებით.[55] ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ/მოადგილედ შეიძლება ზედიზედ მხოლოდ ორჯერ აირჩიონ.[56]

სასამართლო საბჭო: სასამართლო საბჭოს მთავარი უფლებამოსილება მოსამართლეთა საკადრო საკითხების გადაწყვეტაა.[57] იგი შედგება 18 წევრისგან (როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე).[58] 9 წევრს ირჩევენ მოსამართლეები, ხოლო 3-3-ს ნიშნავენ: სლოვაკეთის პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი.[59]

3.4. სლოვენია

დაკომპლექტება: უზენაეს სასამართლოში ვაკანტური ადგილის გამოჩენისას პრეტენდენტები განცხადებით მიმართავენ იუსტიციის სამინისტროს. შესაბამისად, კანდიდატთა სიას სწორედ ეს უკანასკნელი ადგენს.[60] ჩამონათვალი ეგზავნება უზენაესი სასამართლოს თავმჯ-

---

[53] The Supreme Court oF The Slovak Republic, The Supreme Court divisions, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.nsud.sk/the-supreme-court-divisions/, განახლებულია: 26.04.20201.

[54] Network of the presidents of the supreme judicial courts of the European union, Slovakia, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/page/slovakia-0, განახლებულია: 26.04.2021.

[55] იქვე.

[56] იქვე.

[57] The Judicial Council of the Slovak Republic, ხელმისაწვდომია: http://www.sudnarada.gov.sk/the-judicial-council-of-the-slovak-republic/, განახლებულია: 26.04.2021.

[58] იქვე.

[59] Constitution of slovakia, Article 141.

[60] Network of the presidents of the supreme judicial courts of the European union, Slovenia, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/page/slovenia-0, განახლებულია: 25.04.2021.

დომარეს, რომელიც აყალიბებს არგუმენტირებულ პოზიციას კანდიდატების თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე.[61] ეს პოზიცია, თავად კანდიდატის კომენტარებთან ერთად, მიეწოდება იუსტიციის საბჭოს და სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას, ვინ წარედგინება ეროვნულ ასამბლეას (პარლამენტი). საბჭოსთვის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოსაზრებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.[62] მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ.[63]

სტრუქტურა: უზენაეს სასამართლოში 6 განყოფილებაა. ესენია: სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, კომერციული სამართალწარმოების, შრომისა და სოციალური უსაფრთხოების დავების, ადმინისტრაციული განხილვისა და რეესტრის განყოფილებები.[64]

შემადგენლობა: მოცემულ მომენტში უზენაეს სასამართლოში 31 მოსამართლეა.[65]

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს სლოვენიის ნაციონალური ასამბლეა იუსტიციის მინისტრის წინადადებით.[66] მინისტრი მას შემდეგ წარადგენს მათ, რაც უზენაესი სასამართლოსა და სასამართლო საბჭოს მოსაზრებებს მოისმენს.[67]

სასამართლო საბჭო: საბჭო უზრუნველყოფს თანამშრომლობას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის სასამართლოს საკითხებზე.[68] მისი ამოცანაა მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაცვა, სასამართლო ხელისუფლების ანგარიშვალდებულების, ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა.[69] ასევე, მისი ძირითადი პასუხისმგებლობაა მოსა-

[61] იქვე.
[62] იქვე.
[63] Constitution of slovenia, article 129.
[64] CEPEJ – Organization of the Judicial System of the Republic of Slovenia, გვ. 3, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/cepej-organisation-of-the-judicial-system-of-the-republic-of-slovenia/168078f5b1, 25.04.2021.
[65] Network of the presidents of the supreme judicial courts of the European union, Slovenia, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/page/slovenia-0, განახლებულია: 25.04.2021.
[66] იქვე.
[67] იქვე.
[68] Republic of Slovenia, judicial council, ხელმისაწვდომია: https://www.gov.si/en/state-authorities/other-institutions/judicial-council/, განახლებულია: 25.04.2021.
[69] იქვე.

მართლეობის მსურველ კანდიდატთა შერჩევა.[70]

საბჭო შედგება 11 წევრისგან. აქედან ექვსს საკუთარი რიგებიდან ნიშნავს სასამართლო კორპუსი, ხოლო ხუთს პრეზიდენტის წინადადებით ირჩევს პარლამენტი.[71]

3.5. რუმინეთი

დაკომპლექტება: რუმინეთში მესამე ინსტანციას განეკუთვნება მართლმსაჯულებისა და კასაციის უმაღლესი სასამართლო.[72] მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებებს განიხილავს უზენაესი სასამართლოს სადირექტორო კოლეგია.[73] შემდგომი ეტაპია გასაუბრება, რომელსაც ატარებს მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პლენუმი.[74] მოსამართლეებს თანამდებობაზე ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.[75] ისინი ინიშნებიან უვადოდ.[76]

სტრუქტურა: კასაციის უმაღლესი სასამართლო ოთხი დივიზიისგან შედგება: სამოქალაქო საქმეთა პირველი და მეორე პალატები, ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა პალატა და სისხლის სამართლის საქმეთა პალატა.[77]

შემადგენლობა: ამჟამად სასამართლო 112 მოსამართლისგან შედგება. აქედან 26 შედის სამოქალაქო საქმეთა პირველ პალატაში, 23 - მეორეში, 33 - სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, ხოლო 30 - ადმინისტრაციულ და საგადასახადო პალატაში.[78]

სასამართლოს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტსა და საკასაციო და

---

[70] იქვე.
[71] იქვე.
[72] Constitution of Romania, art 126.
[73] Appointing of Supreme Court Judges Examination of Situation in Individual Countries, ხელმისაწვდომია: https://www.network-presidents.eu/sites/default/files/Report_Hirsch_eng%5B1%5D.pdf, განახლებულია: 28.04.2021.
[74] იქვე.
[75] LAW no. 303/2004, On the Statute of Judges and Prosecutors, art 2.
[76] Constitution of Romania, art 126.
[77] Administrative Justice in europe Romania report, გვ. 3, ხელმისაწვდომია: http://www.aca-europe.eu/en/eurtour/i/countries/romania/romania_en.pdf, განახლებულია: 24.04.2021.
[78] High court of cassation and justice of Romania, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: http://www.scj.ro/en, განახლებულია: 28.04.2021.

იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს განყოფილების ხელმძღვანელს ნიშნავს რუმინეთის პრეზიდენტი, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წინადადებით.[79] კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მას უფლება აქვს, უარი თქვას წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე.[80]

მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო: მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებაში შედის, დაიცვას მოსამართლეები და პროკურორები პროფესიულ საქმიანობაში ისეთი ჩარევისაგან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მათ დამოუკიდებლობასა ან მიუკერძოებლობაზე.[81] აგრეთვე, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომა სთავაზობს რუმინეთის პრეზიდენტს მოსამართლეებისა და პროკურორების კანდიდატურებს.[82] საბჭო შედგება 19 წევრისგან. მათგან 16-ს რუმინეთის სენატი ირჩევს (14 - მოსამართლე ან პროკურორი წევრი და 2 - ნეიტრალური წევრი), ხოლო დანარჩენს, თითო-თითოს - იუსტიციის მინისტრი, გენერალური პროკურორი და მართლმსაჯულებისა და კასაციის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.[83]

4. შეჯამება

ზემოთ განხილულ ქვეყნებში მოსამართლეთა დანიშვნის ორი მოდელის გამოყოფაა შესაძლებელი. პირველში საბოლოო გადაწყვეტილებას კანდიდატის თანამდებობაზე განწესების შესახებ იღებს პრეზიდენტი (უნგრეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი), ხოლო მეორეში

[79] European commission for democracy through law (venice commission), Opinion No. 924 / 2018, Romania - opinion on amendments to law no. 303/2004 on the statute of judges and prosecutors, law no. 304/2004 on judicial organization, and law no. 317/2004 On the superior council for magistracy, ვენეციის კომისიის ვებგვერდი, გვ. 8, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)017-e, განახლებულია: 28.04.2021.

[80] იქვე.

[81] Superior Council of Magistracy, SCM competencies, Superior Council of Magistracy-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.csm1909.ro/263/Competenţele-CSM, განახლებულია: 24.04.2021.

[82] Superior Council of Magistracy, The attributions of the SCM plenum - the career of magistrates. Superior Council of Magistracy-ის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://www.csm1909.ro/263/3559/Atribu%C5%A3iile-plenului-CSM-cariera-magistra%C5%A3ilor, განახლებულია: 24.04.2021.

[83] Romania, Consiliul Superior al Magistraturii, ხელმისაწვდომია: https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/csm_romania.pdf, განახლებულია: 18.04.2021.

- საკანონმდებლო ორგანო (ლატვია, სლოვენია). კატეგორიები იგივეა სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებითაც. ლატვიაში, უნგრეთსა და სლოვენიაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პარლამენტი ნიშნავს, ხოლო სლოვაკეთსა და რუმინეთში პრეზიდენტი.[84] ყველა შერჩეულ ქვეყანაში მოსამართლეები თანამდებობას უვადოდ იკავებენ.

ხუთივე ქვეყანაში სასამართლო სტრუქტურა იყოფა სამართლის ძირითადი დარგების (სისხლი, სამოქალაქო და ადმინისტრაციული) შესაბამისად. უნგრეთსა და რუმინეთში მხოლოდ ამ ტიპის დაყოფა არსებობს. ლატვიაში ემატება სადისციპლინო კოლეგია და სენატი, სლოვაკეთში - კომერციული, ხოლო სლოვენიაში - კომერციული, შრომისა და სოციალური უსაფრთხოების დავების, ადმინისტრაციული განხილვისა და რეესტრის განყოფილებები.

მოსამართლეთა რაოდენობა ლატვიასა და სლოვენიაში 40-ს არ აჭარბებს. რაც შეეხება უნგრეთს, სლოვაკეთსა და რუმინეთს, აქ საკასაციო ინსტანციის შემადგენლობა საკმაოდ მრავალრიცხოვანია და რვა ათეულს სცდება.[85]

საერთო სასამართლოების ადმინისტრირების ორგანოების - საბჭოების შემადგენლობა, ასევე ex officio წევრები და მათი უფლებამოსილებები მსგავსია (საკადრო საკითხები, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაცვა და ა.შ.). გამონაკლისია უნგრეთი, სადაც სასამართლო სისტემის ადმინისტრირებას ორი ორგანო ინაწილებს. რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლობას მსგავს საბჭოებში, ეს პირდაპირ უზრუნველყოფილია ლატვიასა (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ex officio წევრია) და რუმინეთში (თავმჯდომარე მაგისტრატურის საბჭოს ერთ წევრს ნიშნავს).

[84] ლატვიაში სეიმს კანდიდატურას წარუდგენს სასამართლოს პლენარული სხდომა, უნგრეთში - პრეზიდენტი, სლოვენიაში კი - იუსტიციის საბჭო. სლოვაკეთსა და რუმინეთში პრეზიდენტს კანდიდატურას სასამართლო საბჭო წარუდგენს.

[85] ლატვია - 36, უნგრეთი - 83, სლოვაკეთ - 90, სლოვენია - 31, რუმინეთი - 112.